ფულის გათეთრების კრიმინალიზაციის ფარგლები და მიმართება Lex Certa პრინციპთან

ელენი ვარდია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : თამარ გეგელია - სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ელენი ვარდია

23.06.2025

აბსტრაქტი

ფულის გათეთრების მასშტაბების გაფართოვებამ და დანაშაულის თვითმყოფად გამოწვევად ჩამოყალიბებამ, რაც ეკონომიკის გლობალიზაციით განპირობებული პროცესი იყო, საერთაშორისო საზოგადოებას უბიძგა შეემუშავებინა ქმედითი სამართლებრივი ინსტრუმენტები ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად. ერთი მხრივ, ჩამოყალიბდა საერთაშორისო AML (Anti Money Laundering) სამართლებრივი ჩარჩო, მეორე მხრივ კი ეროვნულ კანონმდებლობაში კონვენციური დანაშაულის ასახვამ, იმპლემენტაციის პროცესში წარმოქმნა მნიშვნელოვანი სამართლებრივი გამოწვევები.

ფულის გათეთრების იმ ფორმით კრიმინალიზება, როგორც ამას მოითხოვდა საერთაშორისო AML რეჟიმი, დაუპირისპირდა ნორმის განსაზღვრულობის პრინციპს. მათ შორის, საქართველომაც, ერთი შეხედვით შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, მეორე მხრივ კი ჩამოაყალიბა შემადგენლობა, რომელიც თავისი არსით დაუპირისპირდა კანონიერების პრინციპის შემადგენელ ნაწილს - ნორმის განსაზღვრულობის პრინციპს (Lex Certa). კვლევის განხორციელება სწორედ ზემოაღნიშნული გამოწვევით არის ნაკარნახევი და მიზნად ისახავს ფულის გათეთრების სისხლისსამართლებრივი შემადგენლობის შესაბამისობის დადგენას ნორმის განსაზღვრულობის პრინციპთან, ქართული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში.

მიზნის მისაღწევად, ნაშრომის ფარგლებში ისტორიულ-სამართლებრივი, შედარებით-სამართლებრივი და ანალიტიკურ-შეფასებითი მეთოდების გამოყენებით, შესწავლილია ფულის გათეთრების ფენომენის არსი, შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტები, კონკრეტული სახელმწიფოების მიდგომა კრიმინალიზების პროცესში. შედეგად კი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ECtHR-ის (European Court of Human Rights) სტანდარტებზე დაყრდნობით გაანალიზებულია თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლი განსაზღვრულობის სტანდარტს.

შემადგენლობის ნორმატიული შინაარსის გამოკვლევისა და საერთო სასამართლოების პრაქტიკის შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ მოქმედი ნორმა წინააღმდეგობაშია განჭვრეტადობის პრინციპის მოთხოვნებთან.

ამავდროულად, შემუშავებულია რეკომენდაციები, რომელიც მიემართება საკანონმდებლო ორგანოს ნორმის სამართლებრივი სიცხადის უზრუნველსაყოფად. ნაშრომი ხელს უწყობს იმ პრობლემური სივრცის გამოკვეთას, რომელიც არსებობს საერთაშორისო ვალდებულებებსა და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს შორის. საკვანძო სიტყვები : ფულის გათეთრება, ნორმის განსაზღვრულობის პრინციპი, სისხლის სამართალი, კონვენციური დანაშაული, კრიმინალიზაციის ფარგლები.

Abstract

The global expansion of money laundering and its emergence as an autonomous criminal phenomenon, driven by economic globalization, compelled the international community to develop effective legal instruments to combat this threat. On the one hand, an international AML (Anti-Money Laundering) legal framework was established; on the other hand, the transposition of this framework into national legislation - particularly with respect to so-called „conventional crimes“ – triggered significant legal challenges.

The criminalization of money laundering in the form demanded by the international AML regime has proven to be incompatible with the principle of legal certainty. Georgia, among other countries, has formally fulfilled its obligations to combat money laundering; however, in doing so, it has adopted a legal definition that, in substance, contradicts the principle of legality - specifically, the requirement of lex certa.

This research is motivated by this tension and aims to assess the compliance of Georgia's criminal law definition of money laundering with the principle of legal certainty. To that end, the thesis employs historical-legal, comparative-legal, and analytical-evaluative methods to examine the essence of money laundering, relevant international instruments, and the legislative approaches of selected states. Based on the standards developed by the Constitutional Court of Georgia and the European Court of Human Rights (ECtHR), the research analyses the extent to which Article 194 of the Georgian Criminal Code meets the standard of foreseeability.

The study of the provision's normative content and the relevant case law of Georgian courts reveals that the existing regulation fails to comply with the requirements of the principle of foreseeability.

As a result, the thesis proposes specific recommendations aimed at ensuring greater legal clarity and precision. This work contributes to identifying the critical tension between the fulfilment of international obligations and the protection of fundamental human rights.

Keywords: Money Laundering, Lex Certa, Overcriminalization, Criminal Law, Conventional Crime.